



**საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**



KA030401697638017

№ 04-552/ო

10 / აგვისტო / 2017 წ.

**„C ჰეპატიტის მართვის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში,
ანგარიშგების ფორმ(ებ)ის დამტკიცების შესახებ**

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 აპრილის N169 დადგენილებით დამტკიცებული „C ჰეპატიტის მართვის“ სახელმწიფო პროგრამის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე, 53-ე და 61-ე მუხლების და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2017 წლის 4 აგვისტოს N01/50754 (N04/50505; 03.08.2017წ) ნებრის გათვალისწინებით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის N190/6 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების მე-4 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დამტკიცდეს:

ა) „C ჰეპატიტის მართვის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, საანგარიშგებო დოკუმენტაციის შევსების ინსტრუქცია (დანართი N1);
ბ) საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 აპრილის N169 დადგენილებით (შემდგომში-დადგენილება) დამტკიცებული „C ჰეპატიტის მართვის“ სახელმწიფო პროგრამის (შემდგომში - პროგრამა) „დიაგნოსტიკის კომპონენტის“ „მკურნალობაში ჩართვამდე აუცილებელი კვლევების ჩატარების უზრუნველყოფის“ და „მკურნალობის პროცესის მონიტორინგის კვლევების უზრუნველყოფის“ ქვეკომპონენტების ფარგლებში, მიმწოდებლების მხრიდან, საანგარიშო პერიოდში, სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოში წარმოსადგენი ანგარიშგების ფორმები (დანართი N2 და დანართი N3).

2. ბრძანების პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული ანგარიშგების ფორმების მიხედვით, პროგრამის მიმწოდებლის მიერ საანგარიშგებო დოკუმენტაცია პროგრამის განმახორციელებელთან წარდგენილ უნდა იქნეს 2017 წლის 31 ივლისიდან განუვალ სამედიცინო მომსახურებაზე.

3. დაევალოს:

ა) სააგენტოს ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დეპარტამენტს, სააგენტოს სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრებსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფილიალს, ამ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართების გაცნობა შესაბამისი მიმწოდებლებისათვის და საჭიროების შემთხვევაში, დახმარების აღმოჩენა საანგარიშო პერიოდში წარმოსადგენი ანგარიშგების შესაბამისი ფორმ(ებ)ის შევსებასთან დაკავშირებით;

ბ) სააგენტოს დირექტორის აპარატს (ნა ჩანადირი) უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანებისა და მისი დანართების განთავსება სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.ssa.gov.ge).

4. წინამდებარე ბრძანების ამოქმედებისთანავე, ძალადაკარგულად გამოცხადდეს „C ჰეპატიტის მართვის პირველი ეტაპის ღონისძიებების უზრუნველყოფის თაობაზე სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში, ანგარიშგების ფორმ(ებ)ის დამტკიცების შესახებ“ სააგენტოს 2015 წლის 28 მაისის N04-152/ო ბრძანება.

5. ბრძანების შესრულების კოორდინაცია დაევალოს ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დეპარტამენტის უფროსს (კ. ჩხარტიშვილი).

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 ივლისიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორი, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე

ზაზა სოფრომაძე